ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4909918

ნომერი: AR1740757

თარიღი : 18.03.2020

გაცემის თარიღი : 23.03.2020

გაცნობის თარიღი : 24.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , პლატო ზემო , N152 სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4068473 (13.07.2018) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1740757 (18/03/2020) განცხადებით მომართა მიხეილ გიორგობიანმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4068473 (13.07.2018) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ: საპროექტო ობიექტად „მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, საბავშვო ბაღი, კომერციული, საოფისე)“-ს ნაცვლად „„მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სამედიცინო დაწესებულება, კომერციული, საოფისე)“-ს მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4068473 (13.07.2018) ბრძანებით ქალაქი თბილისში, (01.19.20.005.034 1468 კვ.მ.) „მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საბავშვო ბაღი, კომერციული, საოფისე)“ მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. №01.011912616 (06/05/2019) ბრძანებით ურბანული განვითარების სამსახურმა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კ2 დაადგინა 5.0.
N509 (12.03.2020) საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეიცვალა საქართველოს მთავრობის N751 (10.04.2018) განკარგულება და საბავშვო ბაღის მოწყობის ვალდებულება მოიხსნა სამედიცინო დაწესებულების ხარჯზე.
სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4378173 (25/02/2019) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. საკითხის განსახილველად საჭიროა სამსახურს მომართოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.